საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1558

ქ. თბილისი

18/11/2021

ქ. თბილისში შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის (4 200 m^3 ტევადობის, 25 000 ტ ტვირთბრუნვით ნავთობბაზა) რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და I დანართის 29-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ქ. თბილისში შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის (4 200 m^3 ტევადობის, 25 000 ტ ტვირთბრუნვით ნავთობბაზა) რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკოპინგის დასკვნა N56 (12.11.2021);
2. შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N56 (12.11.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში

ლევან დავითაშვილი

მინისტრი